კვირა, 17 სექტემბერი 1917 წ. | რედაქციის ადრესი: თფილისი, ოდელის ქუჩა, № 6. | ფასი 25 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეშმაკი

№ 38

მ ა თ რ ა ხ ი 1917

ბიბლიოგრაფიული ეროვნული ეშმაკისტიული

ჟურნალ

„ეშმაკის მათრახი"

ეჯრნ დიხ ეიხი:

ფიუურათ 1 მან., ექვსი თვით—6 მ., წლიურათ—12 მ.

ბიხაბ ჯთი: Тифлисъ, Ольгинская, 6.

С. Таварткиладзе.

შინაარსი № 38 ნომრისა:

კოდო—კორნილოვი. ი. ც-ძე—თაფლი და ბუზი. ეშმაკი—წყალ-ფეო. პიტნა-ჯურულის გოდება. მორიგლი—ბელმოქმედება. სატანა—ქუთაისი. ახალ-ზეზელი—გამოცანა. ბოდბიპენტა—ფოთი. ძმია—სეჯალ-დიბულო დადგენილება. ბეგნელი—ბზიკი—ფუშეთი. გოგია—კომისართან. ლეპეშები, ფოსტა და სხვ.

სეგმაეეი მიწ-მოწყვა, ბელმოქმედება და სხვ.

მიწევ-მოწევა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კორნილოვი

მეცნიერული აღმოჩენა.

(ძველად დროებით მთავრობას)

თქვენც ჩინებულათ მოგხსენდებათ, რომ ჩემი პროფესია შარადის წერაა. ღმერთს ამისათვის სრულიადაც არ ვემადლიერები, ვინაიდან საზოგადოთ წერა და კერძოთ კი შარადების წერა სასიამოვნოს არაფერს წარმოადგენს.

გამოჩნდება თუ არა რაიმე ახალი სიტყვა, მე ვალდებული ვარ ის ხან აღმა, ხან დაღმა, ხან უკუღმა, ხან წაღმა, ხან მარცვალ-მარცვალ, ხან თითოეულ ანბნებათ წავიკითხო და გამოვიკვლიო, თუ რამდენათ გამოსადეგია ის შარადისთვის. თავისთავად ცხადია ეს ანატომია არავითარ საინტერესო გასართობს არ წარმოადგენს, მათ უმეტეს, თუ შრომა უნაყოფო და შარადისათვის ურგები გამოდგა.

მახსოვს ერთხელ რამდენი ვიშრომე ნეტარხსენებულ პურიშკევიჩზე. ათასნაირათ დავანაწილეგ საღლოვნი გვარი. „პური“ მშვენიერი რამ გამოვიდა. შარადისათვის პირდაპირ განძია ასეთი მშვენიერი სიტყვის აღმოჩენა, მით უმეტეს რომ „კარტოჩნაია რისტემა“ მისთვის საჭიროა არ არის. მაგრამ „პური“ წამამწარა შემდეგმა მარცვლმა „შკე“. ვერავითარი სიტყვა მსგავსი ამისი ვერ მოვიგონე. ვინ იცას რას არ მივსცემდი თუ, კი ამ „შკე“-ს მაგივრად „შტე“ ყოფილაყო, მაგრამ არაფერი არ ეშველა.

ჩემი მწუხარება იმან კიდევ უფრო გაართულა, რომ მესამე ნაწილი სიტყვისა „ვიჩი“ პარადაპირ საუცხოვო გამოდგა. „ვიჩინა“ ანუ ღორის ბარკალი „პურზე“ ნაკლებ დამაკმაყოფილებელი სანოვაგე არ არის შარადის მწერალთათვის. ამ შემთხვევაში კი ის პირდაპირ შეუდარებელი და უსაჭიროესი რამ იქნებოდა, მაგრამ დამლუპა „შკე“ მ. მთელი ღამე ვიწვალე და იმას ვერაფერი მოვუხერხე. ასე გადარჩა პურიშკევიჩი ჩემ მიერ დაჭერას და მადლობა ღმერთს, რომ დროებითმა მთავრობამ მაინც დაიჭირა.

თუ წინეთ არ იცოდით, იმედია ახლა მაინც გაიგებთ, იუ რამდენათ ძნელი და უსიამოვნოა შარადის წერა.

მაგრამ ღმერთი სრულიად [illegible] ადამიანს, ჩვენს ხელობაშიც არის ბედნიერი წამები და ერთი ამგვართაგანი გახლავთ გამოკვლევა საშარადე სიტყვის „კორნილოვი“-ს შესახებ. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩემს გამოკვლევას ღრმა რევოლიუციონური მნიშვნელობა აქვს და სწორეთ იმისთვისაც ვუძღვნი მას ჩვენს დროებით მთავრობას.

სიტყვა „კორნილოვი“ მე მაინტერესებდა, რასაკვირველია თავისი რუსული შეამდგენლობით და ქართული გამოთქმით. შარადისათვის სხვაგვარ არ შეიძლება სიტყვათა ხმარება.

დავკარ მახვილი და გავკვეთე შვაზე. ავიღე პირველი ნახევარი „კორნი“ და დევიდე წინ. ერთი შორს მქვრეტელი შეხედა საკმაო დარჩა, რომ მე სიტყვის იდუმალი მნიშვნელობა კამეთვალისწინებია. „კორნი“ ეს ხომ ქართულად „ფესვებს“ ნიშნავს!

— ეჰეეე! შეხედეთ სად უკავებს! შეხედეთ სად ეუბნება მეთქი.. განვიკვლ გულში. აშკარაა საქმე „ფესვებთან“ გვაქვს და საქმეს ღრმათ უნდა ჩავუკვირდეთ. მე ძლიერ მიყვარს, როცა საქმე გაღრმავდება, მით უმეტეს, თუ აღნიშნული საქმე რევოლიუციასაც აღრმავებს. „კორნი“ განზე გადავდე და მეორე ნაწილი გადმოვიტრიე. ჩემს წინაშე სიტყვა „ლოვი“ სძევს. ამ გარემოებამ პირდაპირ სიხარულის თავბრუ დამხვია.

„ლოვი“-ეს ბრძანებითი დახრაა და ქართულად ნიშნავს „დაიჭირე“. მაუს შევაერთე ორივე სიტყვა და განცვიფრებას მივეცი... „ფესვები დაიჭირე“.

ჩემ თვალწინ რევოლიუციის მთელი ისტორია გადაშალა. დროებითი რევოლიუციონური მთავრობა პირველი დღიდანვე მეტის მეტ ლმობიერების გზას დადგა. მან რეაქციას მოაძრო თავი, მაგრამ „ფესვებისათვის“ ხელიც არ უხლია. მავნე მცენარეს, სწორედ ისეთს, როგორც რეაქციაა, ერთი ახირებული ჩვეულება აქვს: თავს როცა მოსჭრი, ახალსა და უფრო ძლიერ ყლორტებს ამოიღებს ხოლმე. ამისათვის მიღებულია, მავნე ბალახის ფესვიანათ ამოგლეჯა. ვინც ამ გარემოებას ყურადღებას არ აქცევს, ის ბოლოს და ბოლოს ყოველთვის ინანებს ხოლმე, ვინაიდან ჩარჩენილ ფესვებზე ამოსულ მცენარის ამოგლეჯა გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე პირველყოფილისა. როგორც ხედავთ პირველი შემთხვევაზე რეაქციის, ანუ კონტრრევოლიუციის ძირიანათ ამოგლეჯ არ ინებეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგნ „ფესვები“ („корни“) უხვად ჩარჩა ჯარში, სამღვდელოებაში, „მართლ“ მსაჯულებაში და ბურჟუაზიაში, რამაც აღმოაცენა ახალი მცენარე. დღეს კი, თვით საბედისწერო სატყვა „კორნი-ლოვი“ დაეინებით ჩაგვძახის ყურში, რომ ყურადღება მიექცეს „ფესვებს“! რომ „დაპერილ“ იქმნას ფესვები კორნილოვისა.

ამხანაგებო და მოქალაქენო! ფესვებს ჩაუკვირდით, ფესვებს! ფესვები დაეპირეთ, გახსოვდეთ, რომ თუ ფესვები ჩარჩა, ის კვალად აღმოაცენებს ახალ საფრთხეს. მაშ დაეპირეთ ფესვები, ფესვებს მახვილი.

კოლო.

თაფლი და ბუზი

(ვუძღვნი ამხ. კ. პ.—შვილს)

მარტო ვზიავარ ჩემს ოთახში
მწარ ფიქრებში გახლართული...
იქვე დაჰფრენს ერთი ბუზი,
ბზუის...-შემიწუხა გული.
სწორეთ მავნე არსებაა,
უსარგებლოთ გაჩენილი,
რომ იბზუოს უნაყოფოთ,
ან დაუფრთხოს ვინმეს ძილი.
—„შენ, ბზუილავ, არამზადავ,
რას აკეთებ, რისთვის დაჰფრენ,
ათას გვარ სენს რათ ავრცელებ,
მტყუან-მართალს რისთვისა ჰკბენ?„
მოვუქნიე მაგრათ ხელი,
მაგრამ ასცდა-მისი ბედი-
და განაგრძო კვლავ ბზუილი;
რომ ბზუოდა უფრო მეტი.
მეც განვაგრძე ჩემი ფიქრი,
ფიქრი ფილოსოფიური;
ხან წვრიმალნი, უსაფუძვლო,
ხან კი ვრცელი, მსოფლიური.
ად მივიღე ფიქრთა დასკვნათ
მე ასეთი აღმოჩენა:
—მავნე ბუზსაც უნდა ქვეყნათ
არსებობა, თავის რჩენა.
ვინ განსაჯოს, ვინ გაიგოს,
თუ ვინ არის„ მეტი ბარგი,“
რაც არა გვსურს ან ვერ ვიგებ
რაც ჩვენ მოგვწონს, არის კარგი.
იქნებ ბუზიც იმას ბზუის,
რომ მის მეტი ყველა სტყუის,
იქნებ კიდეც ამაყობდეს,
ჩვენ ვეგონოთ მოკლე ჭკუის.
აბა ახლა თქვენ გაიგეთ
მტყუანია, თუ მართალი...
გარნაღა თუ უფრო ძლიერს
არ მფარველობს სამართალი?
ჩვენი ვალია გვახსოვდეს
სუსტსაც უნდა შებრალება,
ვინც არ მოგვწონს ყველა მოვსპოთ,
ვინ მოგვცა ჩვენ ამის ნება?;
(ასე არ ვქნათ ღმერთმა იცის,
ისეთები რამდენია,
უნაყოფო ბზუილი რომ,
სიკვდილს მაინც ურჩევნია.)
დიდ მეცნიერსლევ ტოლსტოის,
ჰუმანიზმის მქადაგებელს,
წავაცილე მე იმ მხრივ, რომ
ყველა ჰბოვებს ჩემში მფარველს.
ბუზსაც თაფლი მივაწოდე,
შესაფერი მისი გემოს,
ვოქვი:—სჩანს შიან აღბათ საწყალს
იქნებ გაძღეს, მოისვენოს.
ცოტა ხანში მოვიხედე
ბუზი ახლოს აღარ იყო,
თაფლის ჯამში, შიგ-შეგაგულში
ფრთა გაშლილი ჩამხრჩვალიყო.

ჩვენშიც ვნახე მსგავსი რამე.
კიდევ მასზე უფრო რთული,
ვიდრე ბუზის ტრაღედია,..
და მომიკლა ამან გული.
არე-მარე ბნელით იყო
ყოველი მხრივ გარს მოცული,
ხსნის იმედი არსად სჩანდა
და კენესოდა მწარედ სული.
ბნელ ქვეყანას განაგებდა
ჯოჯოხეთის ბელზებელი,
ხელ და ნათელს ძირში ჰკლავდა
მბრძანებლობდა ყველგან ბნელი
და გავარდა ამ დროს მეხი,
გაანათა ცა და მიწა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტკბილ-ოცნება მრავალი წლის
უცებ სინამდვილეთ იქცა.
აფრიალდა ძლევის დროშა,
გარს შემოკრბა შრომის შვილნი,
ნაწამები, მონობაში
და ტანჯვაში გამოზრდილნი.
ვთქვი: ეს არის ჩემი ნატვრა,
აღარ მინდა აწ სიკვდილი.
გაჯანსაღდა თითქოს გული,
ჩემი კვნესით დაკოდილი.
გინვლილი გზა დამავიწყა,
აწმყოს მისცა შინაარსი,
მომავალში დამისახა
რაღაც სამოთხისა მზგავსი...
დღეს კი ჩემსა ალმაფრენას
ისევ ფრთები ეკვეცება,
ვხედავ მტერი სატრფოს ჩემსას
სადაც არის ეკვეთება.
მაგრამ მიზანს მიაღწევს კი?
ღირსეულათ ვერ შეეხვედებით?
პასუხს გავსცემთ... მაგრამ ჯერკი
ჩვენ ერთმანეთს ვეკვეთებით
დავიჯერო ტკბილ შარბათით
ჩვენ ბუზივით დავითვრებით
ვიბზუილეთ თაფლისათვის,
თაფლს ვნახავთ და ჩავილრჩვებით?

ი. ც—ძე

ნყალტუბო.

დამემართა „სოციალიზი“,—გავუძელი!

დამემართა „მარქსიზმი“—ცოტა კი შემაწუხა, მაგრამ მოვიკრიფე ძალ-ღონე და გავუძელი!

დამემართა „რევმატიზმი“, მაგრამ თქვენს მტერს ასეთი: ორივე წინანდელი დამავიწყა. თითებში ჩამიძერა. თითიდან გამოვდენე მკალავში გადაძვრა. იქ წამოვეწიე, კიბიმას ქვეშ გამიხიცინა.

მერმე, ხიცინი მიინც იცოდეს სასიამოვნო ამ ოხერ—ტიალმა!

შევაშინე კიბიმასთან, უკვე ბეჭებზე გადასკუპდა. იქ შეუცაცხანე, მირცხენა ხელის მკლავში გადაძვრა.

ერთი სიტყვით იმისი [illegible] ვერ მოხერხდა. ტყვილათ კი არ დაურქმევიათ მისთვის „ჭარება“ მოდი და სდიე საქმის კაცსა „ქარს“.

ააშენოს ღმერთმა გერასიმეს ოჯახი; იმან მირჩია: — წადი, წყალტუბოს აბანოში, ჩაწექი და რევმატიზმი მაშინვე დაიხრჩვებოო. დავუჯერე რა თქმა უნდა და წამოვედი.

ვინაიდან მე ბევრს ვიცნობ, რომელთაც ქარები არა თუ მარტო ხელსა და ფეხებში აქვთ არამედ უფრო ზემოთაც*) და რომ იმათთვის სრულიად უსარგებლო არ იქნება წყალტუბოს ამბის გაგება, ნებას ვაძლევ ჩემს თავს ორიოდე სიტყვა მოვახსენო ამ სოფლისა და მისი აბანოების შესახებ.

სოფ. წყალტუბოს, ერთობ ხანგრძლივი ისტორია აქვს. მას იცნობენ ჯერ კიდე 1890. წლებიდან, როცა ცნობილმა ქართველმა მოღვაწემ, გ. წყალტუბელმა შეადგინა ქართული ლოცვანი და დასწერა გაზეთ „ივერიაში“ ერთი კორესპოდენცია.

მას შემდეგ სოფ. წყალტუბოს სახელი თან და თან ვრცელდებოდა და წარმარტებაში მიდიოდა, თუმცა იგივე არ ითქმის აღნიშნული მწერლის შესახებაც. წარმოიდგინეთ წყალტუბოს შესახებ ცნობა დაბა ხონს გაზორდა და სამეგრელოშიაც შეიჭრა. ჩვენი დიდებული მკვლევარის კ. მაჭავარიანის გამოკვლევით (იხილეთ მისი „მინერალური წყაროები“) მეგრელები მოვიდენ ამ სოფელში და დაარქვეს მას სახელი. ამ გვარათ დღეს დღეობით ჩვენ უკვე საქმე გვაქვს რეალურ სოფელთან, რომელიც, თუ ჩვენი კორესპოდენტების სიტყვებს ვიხმართ: „აგერ ამდენი ხანია ერთ ალაგს სდგას და იტკეპნება.“

ს. წყალტუბო ქუთაისიდან თორმეტიოდ ვერსის მანძილზე მდებარეობს. წყალტუბოს კომისარს ქუთაისის კომისარიდან მხოლოდ ბანოჯის კომისარი ჰყოფს, იმზომ ახლოა ეგ სოფელი დედა—ქალაქთან. ამიტომაც ყველა წყალტუბოში მიმავალს გააკვირვებს ამ მოკლე გზის ჯოჯოხეთური სიძნელეწამ და უწუმ გაისმის მოურიდებელი ლანძღვა, როგორც საგუბერნიო, აგრეთვე სასოფლო ადმინისტრაციისა. შეუგნებელ მოგზაურთ ჰგონიათ, ითქოს წყალტუბოს გზა შემთხვევით იყოს ასეთი და არ-

*) ვიცი ბატონი დავით კასრაძე თავის თავზე მიიღებს ამას, მაგრამ რა ჩემი ბრალია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განგებ განაკეთები. მართლაც სისულელე იქნებოდა გვეფიქრა, თითქო ბანოჯელებმა, წყალტუბოელებმა და ქუთაურებმა არ იცოდნენ, რომ კარგი გზა ავ გზას სჯობია. იციან, მშვენივრათ იციან, მაგრამ იმათთვის არც ის შეადგენს საიდუმლობას, რომ ამ გზით რევმატიზმით ავათმყოფნი მოგზაურობენ და მოგებსენებათ ავათმყოფისათვის რაზომ სასიამოვნოა, როცა ის ივიწყებს თავისს ტკივილებს. თუნდაც ოთხიოდ საათით გაგრძელდეს ეს ბედნიერი თავდავიწყება, ავათმყოფისთვის მას მაინც უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ძველი წარმოსადგენია ისეთი ტკივილი, რომელიც წყალტუბოს გზაზე მოგზაურს თავს გაახსენებს. საზოგადოთ მეორე ვერსზედვე, ქ. ქუთაისიდან, ავათ მყოფი ჰკარგავს მგრძნობიარობას და გონს მაშინ მოდის, როცა არქიელის აბანოში ერთი საათით დალბება.

პროფ. რეინი (კოწ. მაჭავარიანის სიტყვით) სულ სხვა აზრისაა, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ რევმატიზმს არჩენს, არა აბანო წყალტუბოისა, არამედ გზა იქ მისავალი. მე ამას რასაკვირველია საკუთარ გამოცდილებაზე ვამყარებ, ვინაიდან ქუთაურ ებრაელ იოსებას ლინეიკიდან როცა ჩამომიღეს არა თუ რევმატიზმებს, ველარც ხელებსა და ფეხებს ვერ ვგრძნობდი ჩემს ტანზე.

ჩემს მოსაზრებას, რომ წყალტუბოს გზა განზრახ არის ასეთ ჯოჯოხეთურ მდგომარეობაში დატოვებული, ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ ქვა გზის მოსაკენჭი, იქვე, (მაღალი გზის დასწვრივ) იშოვება, მაგრამ არავინ იმითი არ სარგებლობს.*)

თითონ სოფ. წყალტუბო დაბალ გორაკებზეა გაშენებული და თავისი მდებარეობით მაინცა და მაინც დიდ მომხიბვლელ შთაბეჭდილებას ვერ სტოვებს ვერც პირველ მნახველზე. მხოლოდ შორს, ჩრდილო—აღმოსავლეთის კუთხეში ბუმბერაზათ აღმართული ხვამლის ციცაბო კლდე იზიდავს უნებლიეთ თქვენს ყურადღებას.

მაგრამ, წყალტუბოში განა ლამაზი სურათებისათვის მოდიან? არა. წყალტუბო სახელოვანია მხოლოდ თავისი სასწაულთ—მკურნალობითა და დროა ჩვენც ამ საკითხს მივაპყრათ ჩვენი ყურადღება.

პირველ ყოვლისა საჭიროა იცოდეთ, რომ აბანოც არის და აბანოც. თუ სახეში **არ მოვიღებთ** ეგრეთ წოდებულ „ვირის“ აბანოებს“, რომელიც დღევანდელმა ცხოვრებამ სავსებით ხალხის ნაძირალებს მიაკუთნა, არსებობს აბანო სამკურნალო და აგრეთვე აბანო უბრალო. უბრალო აბანო ე. ი. ისეთი, სადაც ადამიანი ბანაობს მხოლოდ ჭუჭყის მოსაცილებლათა, ქართველ ხალხს ანგებით არ უყვარს და ამიტომაც მას ჩვენს დაბა სოფლებში ადგილი არა აქვს. ქართველი კაცი საზოგადოთ ღვინოში ბანაობს.

სამკურნალო აბანო არსებითად მრავალგვარია. არის ტალახის აბანო, როგორც მაგალითად კახეთის სოფელ გურჯაანში, არის აგრეთვე წმინდა წყლის სამკურნალო აბანოებიც, როგორც მაგალითად ბორჯომში, უწერაში, აბასთუმანში. არის აგრეთვე თფილი და ცივი აბანოც.

წყალტუბოს აბანოები ამ ზემოაღნიშნულ თვისებების მიხედვით ყოველმხრივ შეზავებულ აბანოთ უნდა ჩავთვალოთ.

პირველ ყოვლისა **წყალტუბოს აბანო არის რადიო მოქმედი.**

მეორეთ, წყალტუბოს აბანო არის ბროლივით სუფთა და ანკარა.

მესამეთ წყალტუბოს სამკურნალო აბანო არის თფილი და თანაც ზომიერად თფილი.

მეოთხეთ წყალტუბოს აბანო არის ტალახიანი.

სოფელ წყალტუბოში დღეს დღეობით მხოლოდ ოთხ აბანოში სწარმოებს ბანაობა.

1) ქათალიკოზის აბანო, (წინეთ ეფსკოპოზის)
2) კამისარის აბანო (ძველათ გუბენატორის)
3) ძველი აბანო
4) კოდის აბანო.

თითეული ამა ოგანი, მიუხედავათ ანკარა წმინდა წყლისა, თამამად შეიძლება ტალახის აბანოთაც ჩითვალოს. პირველის შეხედვით ეს გარემოება შეიძლება მკითხველს ეუცხოოს, მაგრამ ვისაც უნახავს აბანოების მიდამო, თვით აბანოს შენობები, მისავალი გზები და საცხოვრებელი ბინები, ის ადვილათ მიხვდება საქმის ვითარებას. ანკარა, თფილ წყალში განბანილ—განსპეტაკებული მობანავე აუ-

*) ხმები, თითქო ქუთაისის გუბერნიის კომისარს პატივცემულ გრიგოლ ციორგაძეს და ქალაქ ქუთაისის მოურავს დიმიტრი კალანდარიშვილს განზრახული ჰქონდეთ წყალტუბოს გზისათვის განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა, ჩვენ მათი პარტიული მტრების მიერ გავრცელებულ ჭორებათ მიგვაჩნია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზიდან ამოსვლისათანავე ვარდება ხელოვნურად შეზავებულ ტალახში და ბანაობს. რასაკვირველია, ტანისამოსით ბანაობა თუნდაც ტალახში დიდ სიამოვნებას არაფერს წარმოადგენს, მაგრამ რევმატიზმი რას არ გაიძულებს ადამიანს.

ვინაიდან რევმატიზმი განსაკუთრებით ფეხებში უჩნდება ადამიანს, ამ ორგანოსათვის მოწყობილია ცალკე გზა—ტალახი, რომელიც აუცილებლივ უნდა გაიაროს აბანოში და აბანოდან მიმავალმა ავათყოფმა. ვიდაც შეუგნებელს ძველთან ამ გზაზე ეები დაუყრია და ტალახის ამოშრობა განუზრახავს, მაგრამ საზოგადოების შეგნებულ ნაწილს მაინც თავისი გაუტანია და დღეს—ღღეობით მთელი აბანოების მიდამო მშვენიერ თხელსა და მოყვითალო ტალახს წარმოადგენს. მხოლოდ ერთად—ერთი ნაკელი შეიძლება დასდოს ადამიანმა წყალტუბოს გზათა სამკურნალო ტალახებს. ეგ ისა, რომ შიგა და შიგ ტალახი მუხლამდე არ აღწევს და ამგვარათ მუხლის რევმატიზს ვერა შველის, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახლა, როცა ხალხმა თავისუფლება მოიპოვა, აღნიშნულ გზებზე შეიძლება წელამდე ტალახებიც აიყენონ.

აწ მკითხველთა ყურადღება საჭიროა მიექცეს წყალტუბოს სამკურნალო აბანოთა სასწაულთ—მოქმედებას.

ი შვიათია დედა—მიწის ხურგზე ისეთი წყალი, რომელიც ასეთი სხვა და სხვა გვარი თვისებებით იყოს აღჭურვილი, როგორითვისებებითაც განგებას წყალტუბო დაუჯილდოებია. პირდაპირ დაუჯერებელია ადგილობრივ პირთაგან ნაამბობი შემთხვევები სნეულთა განკურნების შესახებ. აი მაგალითად რა მიამბო ამხანაგმა თომამ.

— ქუთაისში ექიმ ნაზაროვთან მიიყვანეს ვიღაც სამტრედიელი რუსი პროხორი სკოტინვრაჩოვი ივანოვიჩი. რომელიც რევმატიზმისაგან უკანასკნელ დღეებში იყო. სენი უკვე თავის ტვინამდე ასულიყო და საგრძნობლათ დაეზიანებია. ფეხები, ხელები და სინდისი სრულიად გაკავებული და წართმეული ჰქონდა. ნაზაროვმა გასინჯა და რასაკვირველია მაშინვე წყალტუბოსკენ გამოისტუმრა. იმავე დღეს იქიდანვე რეზინის შინაგანი ურემი და სნეული წყალტუბოსკენ გამოისტუმრეს. საღამო ხანს ურემი წყალტუბოს აბანოს მოადგა. უგრძნობი ავთმყოფი ურმიდან გადმოიღეს, დაადვეს, „ნასილკაზე" შეიტანეს და აუზში ჩაადეს. გავიდა დანიშნული დრო. შევიდენ აბანოში, მაგრამ იმისთანა თქვენს მტერს, იქ აღარავინ აღმოჩნდა: არც დამხრჩვალი, არც ცოცხალი, არც ტანისამოსი! ხალხი საგონებელში ჩავარდა და არ იცოდა რა ეფიქრა, ვიდრე ქუთაისიდან მოსულმა მეეტლემ არ განაცხადა: რომ ასეთი კაცი მე შემხვედა ბანოჯაში; ისე მირბოდა, რომ ახლა ქუთაისს გაცილებული იქნებაო. მაშინვე გავადევნეთ მედევრები და რიონის სადგურზე დავიჭირეთ, რათა აბანოს ფული გადაგვეხდევინებია. საათში თურმე 16 ვერსი გაერბინა.

შეიძლება ეს ამბავი ოდნავ გადაჭარბებული იყოს, მაგრამ ათასი და ათი ათასი სხვა უფრო საკვირველი თქმულებანი იძულებულს მხდიან ყველაფერი დავიჯერო.

(დასასრული იქნება)

ეშმაკი

გურულის გოდება.

(სცენისებური)

იმფერ ყიამეთ გუნებაზე ვარ რომ მინდა ყველაი დაგწყევლო, დაგწყევლო ქვეყნის საარაკოთ, საშინლათ უნელათ. ამ საერთო ასვარია-დასვარიეს დროს ყორიფელი უკუღმა შებრუნდა. გუშინდელი მონა დღეს ბატონია, გუშინდელი დამჭირავი—დაჭირულია, ამის მიხედვით გუშინდელი ლოცვა დღეს წყევლა—კრულვაა. უწინ ქალს რომ მოიყვანდენ, დედოფალს მუხლზე ვაჟს დაუგორებდენ და უსურვებდენ ადრე შვილიერებას. ახლა გათხოვება ყველა ქალს უნდა, მარა შვილი რომ უნდოდეს იმისანაი ქალი ათასში ერთი არ გამოერევა. შვილანობა ახლა დიდი უბედურებაა და მეც ასე დამიწყევლიხარ: ღმერთმა შვილები მოგცეს. ვაი უბედური მაშინ შენი დღეი და მოსწრება, გამწარებული და გაძაღლებული შენი სიცოცხლე. ვეღარ მოისვენებ ვერც დღეი და ვერც ღამე, ვერც ძილში და ვერც ღვიძილში.

აპარეული რომ დაღარიბდება (გაუხარდება) ცოლს მეიყვანს: ოჯახს მშრომელი და შემძინე მოემატებაო. გურული კი კარგათ რომ გამდიდრდება, კარგათ რომ გამოინგარიშებს მისი შემონახული

ქონება და აწი შენაძენი თუ ეყოფა ცოლის სარჩენად, მხოლოდ მერე გაბედავს ცოლის შერთვას, გაბედავს მარა ადრე დაიწყეველის გაჩენის დღეს. ადრე შეიქნება მოსიყვარულე ცოლქმარშეა ტკბილი მუსაიფი:

—იგი დღეი რეიზა არ დეიქცა მე რომ შენ წამოგაყვეი. რამდენი შენზე უკეთესი გავაწბილე და კისერი მაინც შენთან მევიტეხე. რეიზა არ იცოდი, რომ შენ ქალის შენახეა არ შეგეძლო, ყველაი ქალი დროს ატარებს, ყველაი ჩაცმულ დახურულია, ყველას მოსამსახურე ყავს, მე რეიზა დევიბადე ასე უილბლო, ნეტაი მაინც სხვაზე ნაკლები ქალი ვიყო—გვარი არ მივარგოდეს და გუჯაბი...

—ვაი ჩემ დღეს! დასტურ რეიზა არ მომტყდა ფეხები, სანამ შენ მოგიყვანდი ჩემდა გასამწარებელათ? ბატონი მე ჯვარ დაუწერელი მძულდა და ახლა ჯვარ დაწერილი გამიჩდი. ჩემი ხელით ბაწარი რეიზა შევიბი კისერზე. სმაი გინდა, ჭამა გინდა, ჩაცმა დახურვა, გარეგ—გამორება, მარა ხელის განძრევა ქე გეზარება. ენის რაკუნით რომ რამე კეთდებოდეს თხაიც კი ჰეტელებს. რეიზა ერთს არ იკითხავ საიდან იშონოს ქმარმა ამდენი ფული? ბაღჩა თქვენ ადარ გაქვენ, მოქვა—ეუფული არ გაკვენ, ძაფს თქვენ არ სტავთ, ზალს არ ამზადებთ, თქვენი ხელით თქვენს კაბასაც არ კერავთ. რას აკეთებთ ერთი მითხარით, რაის მოხელე ნაჩანაკი ხართ? აგრა თქვენი ერთობა: ქმარმა იმუშავოს და მე ვყლაპოო? ნენაიც და ბებიეც ქალი იყო, მარა მუშავობას არცეთი არ თაკილობდა. დუჟინობით ბაღნებს ზღიდენ, ფრინველი ბევრი ყავდენ და საქონელი. კანაფიდან ბაწარს გრეხდენ, ლერწიდან და ყაჩიდან ძაფს სტავდენ, მატყლიდან ზალს ქსოვდენ, კვერაკვინჩხით სარეცხს რეცხავდენ, თავს საბანი მიწით თავს იბანდენ, წყლით იარებოდენ, ყანაში მუშავობდენ და ბაღჩაში. არც საკერავი მაშინა ქონდა, არც ჩულქის საქსოვი. ზღვაი არ იცოდენ და ფთაი. თქვენ ვინ გაგიძლებს ვინ აგითავდება...

—გვარათ მეისპე და შეიჯეჯვე. თქვენი გვარი*)

*)დაბეჯითებით ვიცი რომ ეურიაში ცოდისათვის ეგეკლი ქმრის გვარი ცუდია, ცოდის გვარი კი ეგეკლი ქმბუდია.

რომელია ცოლიზა კაი შენ რომ ყვარ. ეგ ღმერთ გამწყარალო შენ კი გიამება იქნება შენი ცოლი რომ ყველაზე გლახათ გეიარს, მარა ვერ მოგართვი, მეც ქალი ვარ და რავარც სხვაი ზობა მეც ისე უნდა ვქნა.. ჩაგივარდენ კაცებს კობზი ნაცარში, ქალები მონა ადარ ვართ, თუ შემირთე რავაც შემშვენდება კიდეც უნდა მარჩინო.

შვილს გიელაპარაკები, სთხოვ რაცხა პაწეი წამეხმარე, საქმეზე ხელი წამიკარი, ბაზარში ნაყიდი ჭადი მე თუ ზურგით შინ მოვთრაქო, შენ წისქვილზე წეიღე მეთქი—შვილიც შემოგიდღვერს...

—რეიზა გამაკეთე რჩენა თუარ შეგეძლო? შეელაპარაკები, დედა მიეხმარება:

—შენმა თავის ხეთქამ მეკლასე ბაღანეი შენ ჭადს დაგიფქვეს, რავაც მისი ტოლები იარება იმანაც ისე უნდა იაროს რაიარს თოთო ბაღნებს ორ ლუკმა ჭადს ამადლი?!.

ასე ამ რიგად თავისუფლება ქალ—ბაღანაზა დარჩა, ჩვენ კი ოჯახის უფროსებს რომ გვიძახიან, ჩვენ ნამდვილ ოჯახის ვირები ვართ და მეტი არაფერი...

რაღაი დროის აწი ჩემი ჭკვის სწავლაა, თვარა ქე ვისწავლე და ქე მივხთი ვინაა ჩემი სისხლის მსმელი მთავრობა. უწინ სტრაჯნიკი დამიჭირავდა, ეანდრები, თუ პრისტავი ციხეში მიმიყვანდენ. კიდეც მასმევდენ, მაკმევდენ ჩამაკვამდენ, და მახურავდენ. არც წყალი მეკითხებოდა, არც კერი, არც შეშა, არც ციხის დანგრევა და არც შელობა. ჩემმა ცოლშვილმა რომ დამიჭირა ოთხ საათს მმუშავებს და ჩემდა ერთი ტკბილი ენაც კი არ ემეტებიან. სხვაი აბა ღმერთმა გაშოროს, უქმთმოთ თავის საბან წყალს ვინ გაგითბობს. აგი თუ თავისუფლებაა, აგი თუ ქვეყნის გაკეთება, თქვენდა იყოს, მე ნუ მიხიარებთ.

ღმერთმა მოქცეთ 12 შვილი: ექვსი ქალი და ექვსი ვაჟი, მარა ამასთან ღმერთმა გაშონიოს ორი ფხარი ბაწარი...

პიტნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქველმოქმედება

ვინ არის, არ იცნობს
ჩვენს ავტომობილებს:
ზმუილას, ბღუილას,
სიკვდილის ძმობილებს?
ვერ ხედავს იმისი
ციკლოპის თვალები,
არავინ ნახულა
მის შენაბრალები.
მოგზვდება.
გწოგაქცევს.
ადგივლის.
გაგუყლეტავს.
მხრჩოლავ გაზსდაგიკმევს.
შემდეგ არც შეგხედავს.

ჰა, ერთმა მათგანმა
ელენას „დიანა“
ლამის რომ იმსხვერპლა ..
მწარ დაეზიანა.
კინაღამ მოსწყვიტა
ერთ-ერთი თათი მას
და მყისვე მოჰგვარეს
ექიმი ანთიმოს:
შეუკრეს ჭრილობა
დოსტაქრულ სიფრთხილით.
(და იქნებ გადარჩეს,
არ მოკვდეს სიკვდილით.)
ქალბატონ ელენას
დიდი სძევს ვალია:
—ნასახიჩრ პირუტყვთა,
მფარველი ქალია!
გულს ლახვრათ დაესო
„დიანას“ მარცხი მას
(შვილივით ეტრფოდა,
რა ვქნათ, რომ ეწყინოს!)

და აჰა, მოიხმო
მან ფულის მკრებელნი,
მოზარდი თაობა,
ყელს ყუთის შემბმელნი.
უცნობი არ არის
მათთვის ეს ძახილი,
„მობოქვაც“, იციან
არის თუ რა ხილი.
მგზავრს ისე მიეკვრის,
ვითარცა ხოზიკა,
(ფულს რასაც მისცემენ
სრულად თუ მოწიკა!)

ეროვნული ბიბლიოთეკა



გავიდენ ქუჩაში...
ჰა სანახაობა:
არ შერჩეს ბურჟუებს
მუნ უპუხაობა.
დახტიან, ვითარცა
ფეხმალი კალია,
შიშით ძრწის ყოველი,
კაცი, თუ ქალია.

ერთ მათგანს დასტაცეს
მაჯაში ხელები,
და მყისვე განაძვრეს
ტანთ სამოსელები!
იბრძვიან გმირულათ
თავ გადანადები:
(აწუხებს მათ მხოლოდ
პირუტყვთა დარდები.)
ვერ გიხსნის იმათგან
თქვენ ვერრა ფანდები...
ინანებ, თუ იმ დღეს
კარს გამობრძანდები.

—

საღამოს ითვლიან
ფულს დანაგროებსა...
და ჰკიცხავ ელენე,
სიძუნწის დროებასა.
მოგროვდა რალაცა
ოთხასი თუმანი...
„დიანას“ კი უნდა
წელს აბასთუმანი.
იქ უნდა წავიდეს
ის განსაკურნათა
რომ, ბედკრულს, ჭრილობა
არ ექცეს მუნათა.
მაგრამ მას ვინა ჰყავს
იქ ყურის მგდებელი,
რომ მოუვლელობით
არ გახდეს მზებნელი?
ვინ უზამს დედობას,
ვინ ინახულებსა,
ვინ ასმევს, ვინ აქმევს
ვინ მოჰბანს წყლულებსა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხადია, ელენეც
მას უნდა ეახლოს
რომ სნეულ დიანას
ჭირი არ ეახლოს.

და იგი კეთილი,
გულ ანათრთოლები
(აკურთხოს უფალმა
უშვილო ცოლები!)
გაფრინდა ჩიტივით,
ეწვია ფირმასა
(ძვირფასი კაბები
სჭირია იმასა.)
ეყოფა დიანას
რაც ასვა, რაც ჭკვება,
და ახლა ტიტველი
თან ხომ ვერ წაჰყვება?

მორიელი.

ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲡ.

ჰა ჩაგვაბარეს ქუთაისის
სიგრძე და განი,
აწ რაღა გვიპირს, გადვიფაროთ
ფარჩის საბანი
და მე შენ გეტყვი, გაპეპილი არ
არის კასა,
ნეტავ ვიცოდე ეს ქალაქი
თუ ვინ დანავსა.
მარტო ქუთაისს რომ აღმოჩდეს
ყინვის მადანი,
მთელ ქვეყანაზე კი მოედოს
ტიფი, ანთება,
არავინ მოვა, არც იკითხავს,
„ყინვა სად არი“
და ერთი უნცი წამალივით
არ გასაღდება.
ასეთი არის ამ ქალაქის
ილბალი, ბედი,
არც ერთი მხრიდან არ
ულიმის პაწა იმედი,
და ამავე დროს ყური მიგდე
თუ რა სჭირია,
(თუმც სირბილს სწავლობს კაცი სადაც
გასაჭირია)
აღარ უვარგა არც ქუჩები,
აღარც ფარნები,
რის გამო, შიშით შვა ბულვარში
ყეფენ ძაღლები;
უმთვარო ღამეს თუ ენდევი
რიონის ხიდებს,
მდინარის ტალღებს უცილობლათ
ის გადაგკიდებს.
სისუფთავეზე, ხომ ნუ იტყვი,
თქმაც ზედმეტია,
ხილის ნათალი, როს ქუჩაზე
არ დაეტია,
სახურავებზე ზურგით ააქვთ,
აავსეს „კრიშა“,
(აქ პარტიები ამ ერთ აზრში
არ გაითიშა)
სანიტარები თუ კი იყო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს არ არიან,
ჯამაგირისთვის ალბათ იცში
მხოლოდ დადიან.
ცეცხლის მჭრობელი რაზმი ისე
მოწყობილია,
ფასს არ დაიდებს გაღებული
მისი წვლილია.
მის გვერდზე გაჩდა ამის წინათ
პაწა „პაჟარი“
და თვითონ რაზმი, რომ დაგვეხსნა
ძლივსღა დავსძარი.
შენობა იგი ხომ დაიწვა,
წაიღო ქირი
და სანამ სახლის ფერფლ ნაცარი
კი იყო თბილი,
ცეცხლის მჭრობელი რაზმი იდგა
რიონის პირათ,
(იმედი იყო. რომ ჩვენს თვალებს
ენახა ხილათ.)
რომელი ერთი ჩამოვთვალო
ნაკლი ქალაქის,
მოკლედ რომა ვთქვათ ნამდვილ არის
წყალ წასაღები,
არც ისე ქორფობს, თუ გგონიათ
თქვენ პატარა ხნის,
ათასი წლისაც მრავალი აქვს
ჭერი-თაღები.
ასეთი არის ეს ქალაქი,
მისი უპრავა
და ჯერ ჯერობით მას კასაში
არრა უპყავა.
მაგრამ მე ვფიქრობ პესიმიზმი
აქ არის მეტი.
გთხოვთ ამის ქვევით მოისმინოთ
ჩემი პროექტი:
ჩემი პროექტი ძმაო, ეშმაკ,
იცი რა არი?
მართლაც ტვინი ვარ, ტვინი, ტვინი
მე საარაკო,
საღორიის ტყე ისე უნდა
გავასპეტაკო,
რომ ხალხი ყველა იქ სტკბებოდეს
საგარაკო;
გოჭოურას და გაბაშვილის
მთების მწვეროვანი,
მთლად რომ გავაძრო ქალაქის თავს
ბლუზა შარვალი,
დაჩამდე უნდა შევაერთო
ფუნიკულერი,
მის დანახვაზე ლოცულობდეს
გელათის ბერი.
რკინის გზით დავსპრი, დაიხაზეის
მთელი ქალაქი,
ბარე-ორს გასრეს უჩვეულო
იგი ტრამვაი,
თუმცა ისედაც იპყლიტება
მრავალი ხალხი,
დე შემატოს ქუთაისში
ნაკვნესი ვაი.
წყალსადენი მსურს გავიყვანო
ხარის თვალიდან,
(ვერ ამოვიდეს თუმც პატრონი
ჩემი ჯავრიდან.)
მსურს ისე სცემდეს ყოველ სახლის
წინა „ფანტანი“
რომ სიზმარშიაც არ გენახოთ
მისი სადარი.
ცხენის წყალისა, და რიონის
გიჟი სათავე
ურთი ერთმანეთს მაგრათ უნდა
დავაპახრაკო,
თუ ღმერთი მწყალობს და განზრახვა
ეს მოვათავე,
ღამეს დღეთ ვაქცევ, მთვარე უნდა
გადავაბარგო.
მთელს გუბერნიას გავანათებ
ელექტრონითა,
ვერ გაარჩიო სად იწყება
ქალაქ-სოფელი,
ტრამვაის ვაფრენ, რა თქმა უნდა
წყალის ღონითა,
რომ გახალისდეს, უმედოთ
ჭირში მყოფელი.
არხებით დავსპრი მთელ ქალაქის
ეზოებს, ქუჩებს
და შიგ დავაგებ სისუფთავის
დასაცველ მილებს,
სევროპიულა გავხდი ქალაქს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანგრეულს უჩვევს,
დავხარჯავ, გავშლი არ დავტოვებ ჩემს
ტვინის ღილებს.
რიონის პირათ გავაყოლებ
კოპწია დამბას,
იქ ვავაშენებ სიდამო ბაღს
ყვავილებით,
ზედ ნაპირებზე მოსწრებით
ბემების დამბას,
ამის მნახველი ნუ თუ კიდევ
არ გადირევით?
ჰო, დამავიწყდა, რიონს გავსწმენდ
ჯიჭვის ხიდიდან,
ბემთა მიმოსვლას გავაჩაღებ
აქედან ზღვაში,
ეს რას არ შექმნი თუ ისურვებ
ფართე მადიდან
ტკბილო ოცნებავ ვერ გაგიშვებ
იყავი თავში...
რა კი მომრავლდა და ბატონობს
ქუჩათ ძაღლები,
ვფიქრობ ღორებიც მოითხოვენ
მზგავსა უფლებას,
კატებს უკვე აქვთ აჩენილი
სახურავები,
ჩვენ არრას გვიშლის, ვერც შეეზღუდავთ
სხვების უფლებას:
ფუტურისტები ქალაქს უნდა
გავაცალკევო,
მეტი რა გზაა უნდა მივსცეთ
მათ ფერმის ბ.ღი,
დე, იქ წმემოსთქვას იაშვილმა
თავისი ლოცვა,
დე, იქ უკმიონ თავის ღმერთებს
გუნდრუკი უხვათ,
ბევრი ექნებათ ვედრებაისთვის
დროი და მოცლა
ჩვენც შევისვენებთ, უზნეობას
მათსა რომ ვწუხვართ.
თეატრი უნდა ავაშენო,
ნუ მკითხავ სადა!
ეგ საიდუმლოთ უნდა დარჩეს
იკოდეთ ჩემში,
ეჭლა შვიდობით, სჯობს დაუშვა
ფიქრისთვის ფარდა,
აზრთა სხვაობა არ არსებობს
ჩემსა და ღმერთში!..

საკანი

კომისართან

(დასასრული.)

ანთიმოსი. აპა რაქენა, შენი ჭირი შემეყაროს! ქმარი მოენატრა ამ ცოდიშვილს და რა წყალში გადავარდე, რა უყო!

კომისარი. გიმეორებთ არ არის მეორე ჩემი საქმე. მიბძანდით. ნუ მიცდენთ!

ანთიმოსი. იმე, ნუ დამარჩობ, შენი ჭირი შემეყაროს, ბაკონის კანონი მომანიეს, ბატონო, ბაკონის. შე დალოცვილო, ბოგ ოჯახში სამი-ოთხი კაცია ვაჯეში წოუსვლელი და მე ერთი კეკალი სიძე მყავდა და იგიც წამართვით, სიდოური ბაკონია, შენი ჭირი შემეყაროს!

სადომე. (ტირილით) აღარ ყოფილა სამართალი და რა ვქნა!

კომისარი. (ხმა მაღლა) არ არის, ბატონო, ჩემი საქმე, მიბძანდით!

ანთიმოსი. (უკმაყოფილოთ) იმე, წავალ, ბატონო წავალ! რავა, შენზე კი არ ჩამოწყვეტილა სამართალი.

სადომე. (ტირილით) ჩემთვის კი ყორისფელი მეისპო დალ..

ანთიმოსი. (შეუტევს სალომეს) ნუ იპუწკები გლახათ, წადი! (გაიგდებს წინ მტირალ სალომეს, მაგრამ გაჯავრებული შემოტრიალდება) მაშ მე ანთიმოსა ბედკრულაძე არ ვყოფილვარ, თუ არ ჩამევიყანო ვაენიდან ის ბიჭი და მერე სირცხვილი შენთვის!

სადომე. (ტირილით) ჩემთვის მეისპო ყოლისფელი სამართალი!

ანთიმოსი. (სალომეს) გაჩერდი თვარა, იკოცხლოს ანთიმოსამ მე შენ.... (კომისარს) ბიკო ბოვშმა ქმარი მეინატრა და სამართალს არ აძლევ, აგია თქვენი ბაკონი!

კომისარი. (გაჯავრებული) კიდევ! მომშორდით, ბატონო, ნუ მაცდენთ!

ანთიმოსი. (წასვლა უნდა, მარა უცებ მოტრიალდება) ბიკო! შე უგამჩენო, ერთი სამი კვირის ოპუსკი მაინც მიეცი! რავენა, ბოვში გადამერევა, ბოვში და რაწყალში ჩავვარდე მე აძაღლებული! (თითქმის ტირილით) ღმერთო, შენ დაგელოცა სამართალი!

სალომე. (ტირილით) ჩემთვის დეიკეტი ყველგან სამართალი!

ანთიმოსი. (სალომეს) გეიარე, ბოშო, გეიარე, ნუ იბუზკეტი გლახაო! (ძლიან უკმაყოფილო ლაპარაკით გადის) **ეგია ახალთაობა,** ეგია სამართალი! (გადიან ორივენი)

სალომე. (კულისებში) ჩემთვის დეიკეტი ყველგან სამართალი!

ანთიმოსი. (კულისებიდან) გეიარე ხო, გაადგი ფეხი, თვარა იცოცხლოს ანთიმოსამ მე შენ....

კომისარი. უუ, ძლივს არ მოვრჩი იმ გლახა ბრიაველს! დასწყევლოს ღმერთმა, ყველი ოხერი აქ მოდის საჩივლელად! არა, ქმარი მოეწატრა და მოუყვანეო!„ (მილიციონერს) ერთი მითხარი, მე რომელი მაკაკალი ვარ, რომ მოუნახო და მოუყვანო! ოხ, ნიკოლოზ! რატომ ადრე არ დაგენგრა ის ტახტი, რომ იქნება რამე შესულიყო ამ უბედურების თავში. გაუგონიათ ახალი მოძღვრების ხალხი ჩვენი დამცველებიაო და ეგენიც ყოველივე სულელური საქმეზე აქ მოდიან საჩივლელად! არ ვიცი, როგორ უნდა გაუძლო ამდენ უსაფუძლო საჩივარს!

მდივანერი. გადაჭრით უთხარით, ბატონო, უარი და მოიშორეთ, თორემ ძალიან ბევრი დრო იკარგება.

კომისარი. უცებ რომ ხელი ვკრა, არც ის ივარგებს, ჩემო ვანო. ვინ იცის მერე სოფელში რა ჭორებს გაავრცელებენ!

I ხმა. ია, ბოშო, ჩემია ოჩერეზი, ჩემი!

II ხმა: დეიხი, თვარა ოჩერეზს მოგცემ მე შენ! (ყარი გაიღება და ჩქარის ნაბანჯით შემოდის სალდათი, მას მოყვება დარეჯანი, დედა სალდათისა.)

VIII

კომისარი, მილიციონერი, სალდათი და დარეჯანი.

სალდათი. (კმისარს) თქვენა ბძანებით ის ახალთაობის კომიტატი, რომელიცა რომა ქალებს იჯანნით და აგინებთ?!

კომისარი. (გაკვირვებული) ვის ვაგინე. რაშია საქმე, ამხანაგო?

დარეჯანი. ახლა იძახი ავხანაკოვო! ახლა მოლხი ბატრონს რომ შეიხედე! **ეგიცა, ჯერე** სადაური!

სალდათი. არა, როგორ გაბედე შენ, როგორ

კომისარი. რა გაბედე, კაცო, რა გაყვირებს?!

სალდათი. აქ კი ნუ წამომიდგებრ ბლიღინინივით, იქ წამოდი ჩემთან პოზიციაზე და იქა ვნახოთ თუ რა ხრაბარი ბიჭი ბძანდები.

კომისარი. ნუ აყვირით მეთქი გელაპარაკებით!

სალდათი. რა გორ თუ ნუ აყვირო! მე სისხლის მორევში ვცურავ, ცეცხლის ენები თავზე მაცვია, გერმანელი ზარბაზნის ხარხარში ვდგევარ.....

დარეჯანი. (გულზე ხელს იცემს) უიმე, უიმე, შენ მოგიკვდეს შენი დედა!

სალდათი. ვინტოვკა, ფუშკა, გრანატი, პულამეტრი ყველა ჩემ თავზედა სეეკქა, ქუხს. გრუხუნებს ზანზარებს, ჭგლეკს, ჭკლეთავს . .

დარეჯანი. უიმე, უიმე, შენ მოგიკვდეს შენი დედა!

სალდათი მე მტერს გრუდით უდგები წინ, სამშობლოს ვიფარავ და შენ კი აქ გიორგიცა კავალერის დედას, პოლუზოდნი კამანდერის მშობელს ანგარიშს არ უწევ და უდიერათ იხსენებ! არა, როგორ გაბედე, როგორ? Какъ ви смѣитъ ругать мой матъ!

დარეჯანი. უი, შენ დაგენაცვლოს დედა მაგ რუსულში.

კომისარი. ვის მივაყენე, კაცო, შეურაცყოფა შენ ხომ არ გადარეულხარ!

სალდათი. (ხმა მაღლა) არა, როგორ გოუბედე შენ გიორგიცა კავალერის დედას განება! - ვინტოვკა, ფუშკა, პულამეტრი, უდიშლიტელნი ვოზდუხი, ყველა ჩემ თავზე გრუხუნებდა, სეეკქა ჭქუხდა და შენ კი აქ ამ საცოდავ დედაკაცს (დედაზე აჩვენებს) უწესოს და კლოაზნიკს უძახოდი თურმე? მე შენ, ვიგინდარა რადავი სალდათი არ გეგონო! ამას შეხედე, ამას (მენდლებს აჩვენებს) კროვენი მენდალ, ზახარაშუნსკი მენდალ, (ჯვრებს აჩვენებს) ჩუვერთი სტეფანე, ტრეტი სტეფანე....

დარეჯანი. (აწყვეტინებს) უი, შენ დაგენაცვლოს დედა მაგ მოვარაყებულ გულმკერდში!

კომისარი. მე გთხოვთ ყვირილს თავი დაანებოთ! ეგ ჯვარ-მენდალი თქვენთვის შეინახეთ, ჩემთვის საჭირო არ არის.

სალდათი. როგორ გიორგიცა კავალერის და პრასტოი სალდათის ზნაჩენია ერთია შენთვის!

კომისარი. ბატონო, გამიგებინეთ რა გინდათ ჩემთან!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალდათი. შენ შენი თავი დიდათ მიგაჩნია და ჩემ გეროიცკი ნაგრადებს კი ყურადგებას არ აქცევ! შენ მე პრასტოი სალდათი არ გეგონო!

დარეჯანი. შენ იგი თეძომონგრეული ჩიჩას ბიჭი ხომ არა გგონია ჩემი შვილი!

კომისარი. ბატონო ჩემთვის სულ ერთია ვინც უნდა იყოს. მე ნიკოლოზის მოცემულ ბრძყვიალა მენდლებს ყურადღებას არ ვაქცევ.

სალდათი. უკაცრავად, ეს ძველი მთავრობის მოცემული არ გეგონოს? ეს ნოვი პრავიტელსტვამ მომანიჭა. შენ ვიდაცა პრასტოი არგეგონო! შენზე უკეთესი ცოციალისტები მინახავს.

მალიგიონერი. მოიცა, ამხანაგო, ასტე ყვირილი რავა შეიძლება!

სალდათი. როგორ თუ ყვირილი! (კომისარზე აჩვენებს) ამაზე ნაკლები ცოციალისტი შევარცხვენე და თავსლაფი დავასხი ავი კი არა კერენსკი ჩხეიძე და წერეთელი ჩემის თვალით მინახავს, აბა რავა გონიათ თქვენ! მე უბრალო ვინმე არ გეგონოთ!

კომისარი. მით უმეტეს თუ გინახავთ რამე და ასე იქცევით ძალიან სამწუხაროა! დაწყნარდით და გამაგებინეთ რაშია საქმე, რა გინდათ ჩემგან!

სალდათი. რავა რამინდა! ქალს სიმინდი მოუთხარეს, ღობე თელათ მოურღვიეს და სამართალის მაგიერათ შენ უწესოს უძახი!

დარეჯანი. მე წამიხდინეს პირნახული, მე გამირღვიეს და კიდო მე ვარ უწესო, შე სასიკვდილე!

სალდათი. (ყვირილით ერთ ნაბიჯს წინ გადასდგამს) იცი შენ რას გიზამ ამ სიტყვიზა!

კომისარი. ნუ ყვირით მე თქვენ გელაპარაკებით, თორემ იძულებული ვიქნები სასტიკ ზომებს მივმართო!

სალდათი. რავა, ქეკ მემუქრები! მუქარა რავალი უნდა მე გაჩვენენ შენ! (მუშტ მოღებული მიიწევს, კომისარი უკან დაიხევს)

დარეჯანი. (მივარდება შვილს) ბიჭიკო, ბიჭიკო, შენ დაგინაცვლოს დედაშენი, სისხლში არ გაერიო, შვილო, სისხლში!

მალიგიონერი. (მიიწევს წინ) შენ ეი, ძმობილო, ცოტა ენას დაუკელი!

სალდათი. მილიციონერს დეიხი უკან თვარა, იცოცხლოს ბიჭიკომ მე შენ ცხვირი მოგიჩეჩო!

კომისარი. (მილიციონერს) დაატუსაღე ეხლავე ეგ ვიღაც ოხერია! (მილიციონერი ეუბნება სალდათისკენ, მაგრამ დარეჯანი გადეღობება და არ უშვებს)

დარეჯანი. მიშველეთ, თქვენი პირიმე, მიშველეთ!

სალდათი. ვინ უნდა დაატუსაღო! მე ვინტოვკის, ფუშკის, პულამეტრის არ შემშინებია, გერმანწკი გრანატი მიყლაპია, ავსტრიიწკი შრაპნელი მიდგვლემია, უდიმლიტელნი ვოზდუხი დამისუნია და შენ მე დაპერას მიპირებ! (მიიწევს) სულს ამოგაძრობ კისერში, შე მაიმენო, შენა! (სალდათი რევოლვერს იძრობს, კომისარი უკან-უკან იხევს, ზარას რეკავს და მილიციონერებს უძახის. ოთახში მყოფი მილიციონერი ღონივრად გაიწევს, წინ გადაღობებულ დარეჯანს გვერდზე გაადგებს და უკანიდან წელში მივარდება სალდათს.)

დარეჯანი. უიმე, მიშველეთ, მიშველეთ! (უცებ შამოვარდება მეორე მილიციონერი და სალდათს ხელში წვდება. დარეჯანი შვილს ეხმარება, დიდი ჭიდაობის შემდეგ რეოლვერს წაართმევენ სალდათს მილიციონერები)

კომისარი. (მილიციონერებს) გაიყვანეთ და დაამწყვდიეთ ეგ ბუტოვჩიკი, ეგა! (სალდათი უთავლიანდება, მაგრამ მილიციონერები სწევენ და ხელ და ხელ გაქანთ.)

სალდათი. (ყვირის) გამიშვით, გამიშვით!

დარეჯანი. უიმე, მიშველეთ, მიშველეთ! (გაფიორებული ტირილით უკან მიყვება შვილს) შვილო ბიჭიკო, ჩემო ორძაფიანო, შენ დაგენცვლოს დედაშენი!

სალდათი. (ბილების კრაპუნით) უხ, მე!!!... (გაყავთ)

კომისარი. გეორგიევსკი კავალერი, ორ ძაფიანი, შენმა სიცოცხლემ ვერავინ რას გაგიბედავს! მე შენ გაჩვენებ რეოლვერის ამოღება როგორი უნდა! დურაკი!

დარეჯანი. (ყულისებში ისმის დარეჯანის ხმა) ვაიმე შვილო, ვაიმე! (შემოვარდება სცენაზე დ ძალიან აღელვებული უყვირის კომისარს) მე გამლანძღეს, მე გამირღვიეს და კიდო შვილს მიტუსაღებ, შე უღმერთოვ, შენა! (ისმის გარის ხმა: „ოქრო ხარ ოქრო, ბორჯომის ბოთლო!“)

კომისარი. (ძალიან გაჯავრებული დარეჯანს) დამეკარგეთ მეთქი აქედგან!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარეჯანი. (კომისარს) ვაი შენ დეიხრუკე ჩემის ცოდვით! (მობრუნდება და ყვირილით მირბის შვილისკენ) ვაიმე, შვილო ბიჭიკო, ჩემო ორ ძაფიანო!... (მირბის) მაგრამ კარებში გარა დაეტაკება მთვრალი, ორიენი შეინჯღრეიან. მაგრამ გარა ძალიან სიმთვრალის გამო თავს ვერ შეიკავებს და იატაკზე დაეცემა)

დარეჯანი. შენ რაღას მეტაკები, შე ლოთო, შე სასიკვდილევ, შენა! (წიხლს ჩააზელს წაქცეულ გარას და ტირილით მირბის) ვაიმე, ბიჭიკო, ჩემო ჯვარმენდლიანო, ჩემო ორძაფიანო შენ დაგენაცვლოს შენი დედა! (გადის)

IX

კომისარი და გარა.

გარა. (იატაკზე დაგდებული ლუდლუღით) კომიტატო, ერთი რუმკა დავლიე, ერთი, (მღერის ჰარიარალეს ხმაზე)

ჰესტაფონი. ბელაგორი ჰარიარალე,

ზაკუსკა და ორიბოთლი, თარიალალე!...

კომისარი. (დაშტერდება გარას, ხელებს გაიშვერს გარასკენ და მწარე ღიმილით) მოდი ახლა-ამისთანა ხალხში რევოლიუცია მოიგე და დემოკრატიული რესპუბლიკა დაამყარე!!...

გარა. (ლუდლუღით) ერთი რუმკა, ერთი... (მღერის) ოქრო ხარ, ოქრო, ბორჯომის ბოთლო!

კომისარი. (უყურებს გაშტერებული და მერე მიაფურთხებს) თფუ!!!

გობია.

ფ ა რ დ ა ,

გამოცანა

(თბილ. **ახალშენისათვის**)

ხუმეტი კაცი არიან
კამისიათ წოდებული.
(მაკაროვის მიწებისგან
ბლომათ ფულებს მოდებული)
მათ ერთი მეთაური ყავთ
ტან წვრილია, ცოტა კანტი,
როცა ლაპარაკს დაიწყებს,
გეგონება „ატუკანტი.“
(გაფლანგულის) ფულის უნდა
ანგარიში გასაწოროს,
ხან რუსულათ, ხან ქართულათ
ტყუილები მოაპოროს
მაგრამ მაინც ხოხობივით
ბოლო რჩება მუდამ ბოლოდ
ვერ იქნა და ვერ გამოდის
პატიოსნათ ხალხის თვალში.

ახალშენელი.

ფოსტა

ფოტინეს ბიჭს. დედა თქვენის ხათრისათვის არ ვბეჭდავთ თქვენს „შარადას“ ვინაიდან ხშ,რათ მკითხველი შვილების მაგიერ მშობლებს იხსენიებენ ხოლმე ავად.

ლუკას შვილს. ვერც მამა თქვენს ვაწყენინებთ.

ქვიტირელ ფუტკარს. თქვენი ლექსები ყოველთვის ასე იწყება: „დიდი ხანია ეშმაკო, ლექსი არ დამიწერია“ ო. ჩვენც ასეთივე დაჟინებითა და ვულ ახდილობით გწერთ „დიდი ხანია, ფუტკარო, ჩვენ ის არ დაგვიბეჭდია“.

ძველ ძალლს. თქვენს ლექსებს აშკარაათ ეშჩნევა დიდებული სოლომონ ზურგიელიძის გავლენა:

„მტერ— მოყვარეს ვერ ვარჩევ,
ქვეყანა იმნაირია
შენ ფიქრობ სულს ურჩევნიავარ
ის კი გადაგცვლის ჭაკ ცხენში.“

ახლანდელ დროში ზოგიერთ მგოსანს არც კი მიიღებენ ჭაკი ცხენის ანგარიშში.

ივ. ქოროშხპირელს. „ეშმაკის მათრახში“ უკვე დაიბეჭდა იგავი „მწყემსი და მგელი“ ა. ბლიკვაძისა. თქვენი ლექსი აღარ დაიბეჭდება.

უსახკაროს. შარადა არ დაიბეჭდება.

დ. ბეჟანისშვილს. თქვენს შარადას საზოგადოებრივი მნიშვნელობა აკლია.

გურჯს. არ დაიბეჭდება.

მორტირას. თქვენი წერილი „მორტირის“ ყალბისთვის ეშმარიტად გამოუსადეგია.

შხამიანს. არა.

ჭაგნელ ბზიკს. ვბეჭდავთ ყველას, რომლის დაბეჭდვაც საჭიროთ მივვაჩნია.

მ. ბასტეინს. „ჩემს სამეფლოში აუარებელი ცულები და თოხები მაქვს მოსაპირავი და ამიტომ წერილისათვის ძლიერ ცოტა დრო მრჩებაა“ ო იწერებით თქვენ, ბ. ბასტეინ. ნეტავ არც ის ცოტა დრო გრჩებოდეთ. გარწმუნებთ ერთი თოხის მოპირვა უფრო სასარგებლოა, ვიდრე ათასი ამგვარი წერილის დაწერა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრაღედია ფოტოგრაფიული აპარატისა.

მოგეხსენებათ, «ეშმაკის მათრახის» რედაქციამ გამოსცა მოწოდება ფოტოგრაფიული აპარატის შესახებ.

მ ო წ ო დ ე ბ ა

ჩაცვა სამოსელი «ხმის მადადებლისა» და ამ სახით დიდ ხანს მოგზაურობდა „უდაბნოსა შინა". მხოლოდ ერთი მსმენელი აღმოუჩნდა მას. სახელდობრ:

მელქისედეგ ცინცაძე

რომელმაც

15 მანეთი

დაუდო მას არსებობის საფუძვლათ.

«ეშმაკის მათრახის» რედაქცია საზოგადოთ, ხოლო მისი «საფოტოგრაფო სექცია» კი განსაკუთრებით, უღრმეს მადლობას უძღვნის ბერეელ მეცხალს „საფოტოგრაფო ფონდისას" მელქისედეგ ცინცაძეს და თან იმედოვნებს, რომ მისი მაგალითი მაინც არ დარჩება «ხმად მადადებლისა უდაბნოსა შინა.»

რედაქტორი ეშმაკი, სტამბა ვ. ბულანჟისა, გამოვიდა № 1